გერმანული ენის კურსები ბინადრობის ნებართვისა და დეპორტაციის დროებითი შეჩერების მქონე პირებისთვის

გერმანული ენის შესწავლა ყველასთვის მნიშვნელოვანია!

სახელმწიფო უწყებებში, სკოლაში, ექიმებთან თუ თქვენს სოციალურ მუშაკებთან - გერმანულ ენაზე ურთიერთგაგებას გაიადვილებთ. განსაკუთრებით გერმანულ ენაზე მოსაუბრე ქალები შეძლებენ გზის გაკვლევას: საბავშვო ბაღისკენ, სკოლისკენ, ქალთა შეხვედრებზე. ბავშვების საბავშვო ბაღში ან სკოლაში ყოფნის განმავლობაში დედებს ენის კურსებზე დასწრების დრო აქვთ. ბავშვები საბავშვო ბაღში ეუფლებიან გერმანულ ენას და სკოლისთვის სათანადოდ ემზადებიან.

დრეზდენში გერმანული ენის სხვადასხვა კურსები არსებობს, მაგალითად, ინტეგრაციის კურსები (სადაც აგრეთვე წერა ისწავლება), მოზარდთა ინტეგრაციის კურსები და პროფესიული ენის კურსები.
რამდენიმე კურსი ნახევარ განაკვეთზეც ტარდება.

- **ინტეგრაციის კურსების** გავლის უფლება აქვთ:
- ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს სამშობლო სახელმწიფოს, დარჩენის პერსპექტივების ან ჩამოსვლის თარიღის მიუხედავად
- § 104c (გ) AufenthG/ბინადრობის კანონის შესაბამისი ბინადრობის ნებართვის მფლობელ პირებს (Chancenaufenthaltsrecht/დეპორტაციის დროებითი შეჩერების მოწმობის მქონე პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ დარჩენის შანსი)
- § 60a ნაწილი 2 პუნქტი 3 AufenthG/ბინადრობის კანონის შესაბამისი დეპორტაციის დროებითი შეჩერების მოწმობის მქონე პირებს
- § 24 ან §25 ნაწილი 5 AufenthG/ბინადრობის კანონის შესაბამისი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს
- ინტეგრაციის კურსების მსურველებმა მიმართეთ სოციალურ სამსახურს მისამართზე: Junghansstraße 2, 01277 Dresden, Raum 222/იუნგანჰსშტრასე 2, 01277 დრეზდენი, ოთახი 222. მისაღები საათებია სამშაბათს 9-12 და 14-18 საათებში და ხუთშაბათს 9-12 და 14-16 საათებში.
- ყველა აქტუალურ და მომავალ ინტეგრაციის კურსებს იხილავთ BAMF/მიგრაციისა და ლტოლვილთა სამსახურის ნავიგაციაში შემდეგი ბმულის მეშვეობით:
- https://bamf-navi.bamf.de/de/Themen/Integrationskurse/
- **პროფესიული ენის კურსების** მსურველებმა მიმართეთ დასაქმების სააგენტოს ან ჯობ-ცენტრის თანამშრომელ აგენტებს.
- დასაქმებულმა, პროფესიული განათლების მიმღებმა ან პროფესიის აღიარების განხილვის ეტაპზე მყოფმა პირებმა მიმართეთ უშუალოდ BAMF/მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალურ სამსახურს (deufoe.berlin@bamf.bund.de)

გერმანული კურსების და მათი დაწყების შესახებ კონსულტაციისთვის მიმართეთ:

დრეზდენის მიგრაციის სოციალური სამსახურის ჯგუფებს:

- https://www.dresden.de/msa

Ausländerrat Dresden e. V./დრეზდენის უცხოელთა საბჭოს რეგისტრირებული კავშირის კონსულტაციების განყოფილება:

- https://www.auslaenderrat.de/beratungsstelle/

ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხებს იხილავთ ინტერნეტის გვერდზე: www.dresden.de/orientierung

წარმომადგენლობა

გამომცემელი
მიწის დედაქალაქი დრეზდენი

ინტეგრაციისა და უცხოელთა კომისარი
ტელეფონი (03 51) 4 88 21 31
ელფოსტა auslaenderbeauftragte@dresden.de

Postfach 12 00 20
01001 Dresden
www.dresden.de
www.facebook.com/stadt.dresden

ცენტრალური სახელმწიფო უწყებების ცხელი ხაზი 115 – მოგვმართეთ შეკითხვებით

რედაქცია: ანნეტტ შენე, ანდრეა ზომმერ, კრისტინა ვინკლერ. ოლგა შპერლინგ, დომინიკ ჰაინ, კორნელია ბაიერ, ლიზა ვაჰბი

2023 წლის ნოემბერი

კომპეტენტური ელექტრონული ხელმოწერით აღჭურვილი ელექტრონული დოკუმენტების ჩაბარება შესაძლებელია ანკეტით. გარდა ამისა, მათი გაგზავნა მიწის დედაქალაქ დრეზდენისთვის შეიძლება S/MIME-სერტიფიკატით კოდირებული ელფოსტით ან უსაფრთხო DE-ელფოსტით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ www.dresden.de/kontakt.
წინამდებარე ინფორმაცია მიწის დედაქალაქ დრეზდენის საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილია. დაუშვებელია ამ ინფორმაციის საარჩევნო რეკლამისთვის გამოყენება. თუმცა პარტიებს უფლება აქვთ, რომ ეს ინფორმაცია გააცნონ მის წევრებს.